

პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

ფოტოგრაფია

და პერსონალურ მონაცემთა დაცვა



წინამდებარე დოკუმენტი, გერმანიის ბადენ-ვიუტენბერგის ფედერალური მიწის პერსონალურ მონაცემთა საზედამხედველო ორგანოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ.

ფოტოგრაფია და პერსონალურ მონაცემთა დაცვა

თანამედროვე ეპოქის ტექნოლოგიურმა მიღწევებმა ფოტოგრაფია ბევრად ხელმისაწვდომი გახადა. ადამიანები ცდილობენ, თავიანთი ცხოვრების გამორჩეული მომენტები აღბეჭდონ, გადაიღონ ფოტოები საყვარელ სპორტსმენებთან თუ მსახიობებთან. დღესდღეობით, ფოტოგრაფია ხელოვნების ერთ-ერთ დარგადაც კი იქცა.

ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ, პერსონალურ მონაცემთა დაცვა უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ფოტოგრაფიის მეშვეობით მონაცემთა სუბიექტების იდენტიფიცირებას ნაკლები ძალისხმევა სჭირდება. ამდენად, ამ სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით არსებული რისკების პრევენციის მიზნით, აუცილებელია ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინება.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და ევროპის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (შემდგომში - „GDPR“) მოქმედების/გავრცელების საკითხი

ადამიანის გამოსახულების შემცველი ყოველი ფოტოსურათი პერსონალურ მონაცემს წარმოადგენს, ციფრული ფოტოგრაფიის ეპოქაში კი მაღალია მათი ავტომატურად დამუშავების საფრთხე. აღსანიშნავია, რომ ამ გზით მონაცემთა დამუშავების ყოველ პროცესზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) და GDPR-ის მოქმედება შესაძლოა არ ვრცელდებოდეს. კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამავე კანონის მოქმედება არ ვრცელდება ფიზიკური პირის მიერ აშკარად პირადი მიზნით ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავებაზე. მაგალითად, თუ ფიზიკური პირი პირადი ან საოჯახო საქმიანობის ფარგლებში გადაიღებს ფოტოსურათებს, აღნიშნული არ მოექცევა კანონის და GDPR-ის მოქმედების ფარგლებში. ასეთ შემთხვევებს განეკუთვნება, მაგალითად, სამახსოვროდ, ოჯახურ დღესასწაულებზე ან სასკოლო ღონისძიებებზე გადაღებული ფოტოსურათები.

თუ ფოტოსურათები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე ან ვებგვერდის ჯგუფში, რომელიც დაცულია მომხმარებლის სახელითა და პაროლით ან ისინი განთავსდა დახურულ ფორუმზე, აღნიშნული აუცილებლად მოექცევა ზემოაღნიშნული გამონაკლისის ფარგლებში. სიტუაცია შეიცვლება, თუ ფოტოსურათები ისეთ ვებგვერდზე განთავსდება, სადაც რეგისტრაცია პირთა განუსაზღვრელ წრეს შეუძლია

და მათი დათვალიერება ნებისმიერი პირისთვის ხელმისაწვდომი გახდება. ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ფოტოსურათების გამოქვეყნება უკვე აღარ წარმოადგენს პირადი და ოჯახური მიზნებისთვის პერსონალური მონაცემების დამუშავებას და მასზე კანონის და GDPR-ის მოქმედება გავრცელდება. მიუხედავად ზემოთხსენებულისა, დახურულ ჯგუფებსა და სივრცეებში ფოტოსურათის გავრცელებას მაინც ახლავს ის შესაძლო რისკი, რომ აღნიშნული ფოტო სხვადასხვა საშუალებით პოტენციურად მაინც გახდეს საზოგადოების დიდი წრისთვის ხელმისაწვდომი.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ჟურნალისტების მიერ

თუ პერსონალური მონაცემები მუშავდება ჟურნალისტური ან სარედაქციო მიზნებისთვის, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს შეუძლიათ, ისარგებლონ ე. წ. „მედიაპრივილეგიით“. ამ შემთხვევაში GDPR-ის 85-ე მუხლის პირველი პუნქტი წევრ სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას, შემოიღონ საგამონაკლისო ხასიათის მქონე რეგულაციები, რაც პირადი ცხოვრების უფლებასა და გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებას შორის ბალანსის უზრუნველყოფას ემსახურება. კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ამავე კანონის მოქმედება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე (გარდა ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 27-ე მუხლისა) არ ვრცელდება. აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებიდან გამომდინარეობს, რაც კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებულ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს. თავის მხრივ, გამოხატვის თავისუფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედადაა აღიარებული. აღნიშნული მოიაზრებს როგორც ინფორმაციის მიღების, ასევე, გავრცელების თავისუფლებასაც, რაშიც უდიდესი წვლილი სწორედ მედია საშუალებებს შეაქვთ. ჟურნალისტური საქმიანობა შეუძლებელი იქნებოდა თავისუფლების დაცვის განსაკუთრებული გარანტიებით. სწორედ აქედან გამომდინარეობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალში, ამ სფეროს მარეგულირებელ აქტებში გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საგამონაკლისო შემთხვევები და ამ უფლებათა შორის ბალანსის დაცვის აუცილებლობა. ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების უფლება მოიცავს გარკვეული ასპექტით პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასაც. აქედან გამომდინარე, მედიაკორპორაციები და პრესის საგამომცემლო კომპანიები თავისუფალნი არიან, შეასრულონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ცალკეული რეგულაციები, რომლებიც მონაცემთა შეგროვებასა და დამუშავებას ეხება, მაგრამ ისინი ვალდებულნი არიან, იხელმძღვანელონ პირადი არაქონებრივი უფლებებისა და საავტორო უფლებების

მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტებით ინფორმაციის გავრცელების დროს. გარდა ამისა, ჟურნალისტური საქმიანობა არ ათავისუფლებს პირს, მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დაიცვას შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული მოთხოვნები.

ფოტოგრაფიასთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო აქტები

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი და პირის არაქონებრივი უფლებების მარეგულირებელი სამოქალაქო კოდექსი ფოტოგრაფიასთან დაკავშირებულ სხვა საკანონმდებლო აქტებად შეიძლება მივიჩნიოთ. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მათ შორის, ფოტოგრაფიულ ნაწარმოებს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებად განიხილავს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრულია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ფოტოების გამოსაქვეყნებლად ფოტოსურათზე გამოსახული პირის თანხმობა არ მოითხოვება, კერძოდ, როდესაც:

- ფოტოგადაღება უკავშირდება პირის საზოგადოებრივ აღიარებას, დაკავებულ თანამდებობას, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებს, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებს;
- ფოტოგადაღება მოხდა საზოგადო ვითარებაში;
- პირმა პოზირებისთვის მიიღო საზღაური;

გერმანული დოქტრინის მიხედვით, კერძოდ, „ხელოვნების ნაწარმოებზე საავტორო უფლებების შესახებ“ კანონით განსაზღვრულია სამი შემთხვევა, როდესაც არ არის აუცილებელი ფოტოზე გამოსახული პირის თანხმობა ფოტოების გასავრცელებლად:

- ფოტოებზე ასახულია უახლესი ისტორიის პერიპეტიები;
- ფოტოებზე გამოსახული ადამიანები პეიზაჟის ან სხვა რაიმე ადგილის უბრალო დამატებას - ერთგვარ „აქსესუარს“ წარმოადგენენ;
- ფოტოზე გამოსახულია მიტინგები, მსვლელობები ან მსგავსი სახის ღონისძიებები, რომლებშიც სურათებზე აღბეჭდილი პიროვნებები მონაწილეობდნენ.

ასევე, ფოტოგრაფირებასთან მიმართებით „პრეცედენტებზე დაფუძნებული პირის“ ზოგადი უფლებების გათვალისწინება მაშინ ხდება, როდესაც იგი სურათზე აღბეჭდილი პირის პიროვნულ განვითარებას ზიანს მიაყენებს. ეს შეიძლება მოხდეს, როდესაც მათ ფოტოსურათებს კერძო ადგილებში (სახლი, საკუთარი ბაღი, სალოცავი) ან ინტიმურ სიტუაციებში (სქესობრივი კავშირის, ოჯახური ღონისძიებების, სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის დროს) უღებენ. პრეცედენტებზე

დაფუძნებული პირადი უფლებები პირის გარდაცვალების შემდეგაც ვრცელდება და მოქმედებს GDPR-თან ერთად. აქ იგულისხმება აკრძალვის მოთხოვნის შესაძლებლობა ფოტოების გავრცელებაზე, ასევე, ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა, რაც პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და სამოქალაქო კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.

აღსანიშნავია რომ გარდაცვლილი პირის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება საქართველოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებშია დასაშვები, ხოლო სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლი კი გარდაცვლილი პირის პირადი უფლებების დაცვის საკითხს ითვალისწინებს.

ფოტოსურათების გადაღებისა და მათი გავრცელების სამართლებრივი საფუძვლები

კანონის მე-5 მუხლის და GDPR-ის მე-6 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ ფოტოგადაღება თავიდანვე აკრძალულია, თუ ის არ მიმდინარეობს თანხმობით ან არ გვაქვს სახეზე სხვა რომელიმე საფუძველი, მაგალითად, თუ მონაცემთა დამუშავება მიმდინარეობს მონაცემთა სუბიექტთან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, ან აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად. შესაბამისად, აუცილებელია, არსებობდეს ლეგიტიმური საფუძველი, რომელიც არ არის მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობა.

- **თანხმობა მონაცემთა შეგროვებასა და გავრცელებაზე** - არ არის აუცილებელი თანხმობა მაინცდამაინც წერილობითი ფორმით იყოს გამოხატული. კანონი მონაცემთა სუბიექტის თანხმობას განმარტავს მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე აქტიური მოქმედებით, წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) ან ზეპირად, თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატულ ნებად. GDPR, ასევე, იძლევა შესაძლებლობას, თანხმობა გაიცეს ელექტრონულად, ზეპირად და კონკლუდენტურადაც (მაგალითად, კამერის წინ პოზირება და სიცილი). გასათვალისწინებელია ისიც, რომ საჭიროების შემთხვევაში მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოუწევს იმის მტკიცება, რომ მას ნამდვილად ჰქონდა მონაცემთა სუბიექტისაგან თანხმობა მოპოვებული (იხ. GDPR-ის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი). გარდა ამისა, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა სუბიექტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მას ნებისმიერ დროს აქვს უფლება, თანხმობა უკან გამოიხმოს. არასრულწლოვნების შემთხვევაში თანხმობა მოპოვებული უნდა იქნეს მათი კანონიერი წარმომადგენლებისგან. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ძირითად შემთხვევებში,

თუ ამავე კანონით იმპერატიულად არ არის მოთხოვნილი, თანხმობა შესაძლოა გაცემული იყოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი (მათ შორის, ელექტრონული) ფორმით.

- **მონაცემთა შეგროვების სხვა სამართლებრივი საფუძვლები** - კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის (მათ შორის, არასრულწლოვანის) უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი. ამასთან, GDPR-ის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მონაცემთა დამუშავება კანონიერია, თუ ის აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად იმ პირობით, რომ მონაცემთა სუბიექტის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები მას არ აღემატება. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალურია, როცა მონაცემთა სუბიექტი ბავშვია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ბალანსის უზრუნველყოფა, ერთი მხრივ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, მეორე მხრივ, მონაცემთა სუბიექტის კანონიერ ინტერესებს შორის. პირველ რიგში, აუცილებლად გასათვალისწინებელია გონივრული მოლოდინები იმ პირებისა, რომლებსაც ეს ეხება. მაგალითად, მასშტაბური ღონისძიების მონაწილეებსა და მოწვეულ სტუმრებს უნდა ჰქონდეთ მოლოდინი იმისა, რომ ფოტოსურათებს გადაუღებენ. მონაცემთა სუბიექტს იმის გათვლაც მოეთხოვება, რომ ფოტოები შიდა მოხმარებისთვის დამუშავდება და არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი გასაჯაროვდება და პირთა განუსაზღვრელი წრისათვის გახდება ხელმისაწვდომი. ანალოგიურად, პირი ასევე არ უნდა მოელოდეს, რომ იქ გადაღებულ ფოტოებს სარეკლამო მიზნებისთვის გამოიყენებენ. საჯაროდ რეკლამირებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით შეფასება კი უკვე სხვაგვარი იქნება.
- **ფოტოგადაღება ხელშეკრულების საფუძველზე** - აქ იგულისხმება კლუბური ღონისძიებების, ქორწილებისა და სხვა მსგავსი აქტივობების ფოტოგადაღება. გასათვალისწინებელია თუ აღნიშნული ხელშეკრულების ცალკეული პუნქტებით როგორ იყო რეგულირებული. პირველ რიგში, იგულისხმება იმ პირების ფოტოგრაფირება, რომლებიც უშუალოდ არიან ხელშეკრულების მხარეები, მაგალითად, ნეფე-დედოფალი, რომლებმაც ფოტოგრაფი აიყვანეს მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება სტუმრებსა და ღონისძიების სხვა მონაწილეებს, მათ მიმართ სხვა სამართლებრივი საფუძველი უნდა გვქონდეს სახეზე, რადგანაც ისინი ხელშეკრულების მხარეები არ არიან.

კანონის მე-16 და GDPR-ის 21-ე მუხლებიდან გამომდინარეობს ფოტოზე გამოსახული პირის განსაკუთრებული უფლება - შეწყდეს მისი პერსონალური მონაცემების დამუშავება. მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება შექმნილი კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, მოითხოვოს ფოტოსურათების გასაჯაროების აკრძალვა. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა აღარ უნდა გააგრძელოს აღნიშნული ფოტოების გავრცელება, თუკი მას არ აქვს დამარწმუნებელი სამართლებრივი არგუმენტები იმისა, რომ მას ბევრად მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინტერესები აქვს, ვიდრე მონაცემთა სუბიექტის უფლებებია.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების თაობაზე

კანონის 24-ე და GDPR-ის მე-13 მუხლებიდან გამომდინარე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს აცნობოს იმის შესახებ, რომ იგეგმება ფოტოების გასაჯაროება. ამიტომაც მნიშვნელოვანია ზუსტი ინფორმაციის მიწოდება ფოტოსურათების დამუშავების მიზნებისა და სამართლებრივი საფუძვლების თაობაზე. ასევე, აუცილებლად უნდა მიეთითოს, გადაეცემა თუ არა პერსონალური მონაცემები მესამე პირებს. გარდა ამისა, მონაცემთა სუბიექტს უნდა ეცნობოს, რა ვადის განმავლობაში გაგრძელდება მონაცემების დამუშავება და მიეთითოს პირს იმ უფლებაზე, რომ მას შეუძლია მოითხოვოს: მონაცემების გასწორება, წაშლა, თანხმობის გამოხმობა, კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევაში კი საზედამხედველო ორგანოებისადმი მიმართვის უფლება. მონაცემთა სუბიექტს ასევე უნდა ეცნობოს თუ რაში გამოიხატება დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის კონკრეტული ლეგიტიმური ინტერესი და დამუშავების კანონიერების ერთ-ერთი წინაპირობა.

რაც შეეხება დიდი ოდენობით მონაცემთა სუბიექტების პერსონალური მონაცემების დამუშავებას ფოტოგრაფირების ჭრილში, ამ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, რომლის მიხედვითაც, თუ მონაცემთა სუბიექტებისთვის ინფორმაციის მიწოდება დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან, ასეთ შემთხვევაში დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს საჯაროდ შეუძლია მოახდინოს სუბიექტების ინფორმირება, მაგალითად, სპორტული დარბაზის შესასვლელში გამოაკრას ინფორმაცია, თუმცა მონაცემთა სუბიექტებს აქვთ უფლება კვლავინდებურად დაუკავშირდნენ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს და სთხოვონ, რომ არ დამუშავდეს მათი პერსონალური მონაცემები.

ინფორმაციის მიწოდების ეს ვალდებულებები შესაძლებელია, შესრულდეს „ეტაპობრივად“. პირველ ეტაპზე შეიძლება მიეთითოს „ძირითადი ინფორმაცია“

(მაგალითად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სახელი და საკონტაქტო მონაცემები, მონაცემთა დამუშავების მიზნები, მისი სამართლებრივი საფუძველი, მონაცემთა შენახვის ვადა, მონაცემთა სუბიექტის უფლებები), შემდეგ ეტაპზე სუბიექტის ინფორმირება შესაძლებელია ვებგვერდის ან სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ვალდებულებები

კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის და GDPR-ის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ ფოტოსურათები კანონიერად მუშავდება. მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფოტოზე აღბეჭდილი პირების თანხმობათა დოკუმენტირება.

აღნიშნული დოკუმენტები დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ უნდა იყოს შენახული სათანადოდ, უნდა იყოს მიღებული სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები მათ დასაცავად და საჭიროების შემთხვევაში, უნდა წარედგინოს საზედამხედველო ორგანოს.

სპორტული კლუბების მიერ ფოტოსურათების გასაჯაროება

საინტერესოა, აქვს თუ არა სპორტულ გუნდს უფლება, მისი წევრების თანხმობის გარეშე მოახდინოს მათი ფოტოგრაფირება და ამ ფოტოების გასაჯაროება. ზრდასრულების კლუბის შემთხვევაში კლუბს ფოტოსურათების გადაღებისა და გასაჯაროების უფლება აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე. მას აქვს ლეგიტიმური ინტერესი, წარუდგინოს საზოგადოებას ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ, ამ შემთხვევაში მისი შემადგენლობის თაობაზე. გარდა ამისა, კამერის წინ პოზირება და ღიმილი უკვე ნიშნავს ფოტოზე აღბეჭდილი პირის სავარაუდო თანხმობას. კანონისა და GDPR-ის თანახმად, თანხმობა შეიძლება იყოს აქტიური მოქმედებითაც გაცემული.

რაც შეეხება არასრულწლოვნებით დაკომპლექტებულ გუნდს: მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაშიც არსებობს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ლეგიტიმური ინტერესი (კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი), მოცემულ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტების უფლებები აღემატება დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის კანონიერ ინტერესებს და აღნიშნულ შემთხვევაში აუცილებლად უნდა იქნეს მეურვის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

სპორტული კლუბი ვალდებულია მოახდინოს მისი წევრების ინფორმირება ფოტოსურათების გასაჯაროების დროს. კანონის 24-ე მუხლიდან გამომდინარე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი თავდაპირველად ვალდებულია მოსალოდნელი გასაჯაროების თაობაზე გააფრთხილოს შემხებლობაში მყოფი ყველა პირი, ასევე უნდა მიეთითოს, თუ სად გამოქვეყნდება აღნიშნული ფოტოსურათები. მართალია, ფოტოსურათების გამოქვეყნება შეიძლება კლუბის კანონიერ ინტერესებში შედის და ეს ხდება გასაჯაროების საფუძველი, მაგრამ აღნიშნულის თაობაზე ინფორმირების ვალდებულება მაინც რჩება. მონაცემთა სუბიექტის გონივრული მოლოდინი, აგრეთვე, გასათვალისწინებელია მოცემულ შემთხვევაში ინტერესთა ბალანსირების დროს. თუკი საფეხბურთო კლუბი წარმოადგენს გამჭვირვალე და სრულ ინფორმაციას დაგეგმილი გასაჯაროების თაობაზე, მის წევრებს, როგორც წესი, გაუჩნდებათ გონივრული მოლოდინი, რომ ფოტოსურათები სათანადო წესით შესაბამის ადგილზე გამოქვეყნდება.

კლუბის ახალ წევრს ინფორმაცია შეიძლება წარედგინოს კლუბში შესვლის საინფორმაციო ფურცლის მეშვეობით, ძველ წევრებს კი კლუბის ჟურნალის მეშვეობით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფოტოსურათზე აღბეჭდილ პირს, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, აქვს უფლება, მოითხოვოს, აიკრძალოს მისი ფოტოს გამოქვეყნება. ეს შეიძლება იყოს ისეთი სიტუაცია, როცა მონაცემთა სუბიექტი იმყოფება მოწყვლად მდგომარეობაში, მაგალითად, როცა ფოტოზე გამოსახული პიროვნება არასახარბიელო მდგომარეობაშია. ეს შეიძლება იყოს ტრავმით გამოწვეული ან პირი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდეს. მოცემულ შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა უნდა იტვირთოს იმის მტკიცება, რომ მისი უფლებები აღემატება დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის კანონიერ ინტერესს.

რაც შეეხება სპორტული ღონისძიებების მონაწილეებს, მათი ფოტოსურათების გავრცელება, შეიძლება, ასევე, დაეფუძნოს ასევე, დაეფუძნოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტსა და GDPR-ის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტს, რადგანაც ამ შემთხვევაშიც სახეზე გვაქვს კლუბის კანონიერი ინტერესი. ეს ინტერესი მოცემულ შემთხვევაში არის საზოგადოების ინფორმირება ამ ღონისძიების თაობაზე. აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს, თუ ვინ აღიბეჭდება ფოტოსურათებზე, ზოგადად ყველა მონაწილე, თუ აქცენტი გაკეთდება ერთ-ერთ მონაწილეზე, მაგალითად, მეკარეზე. მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შეუძლია, თავისი კანონიერი ინტერესების დასაბუთება მოცემულ შემთხვევაში ძალიან მარტივად შეუძლია. უბრალოდ აუცილებელია იმ წინაპირობის არსებობა, რომ მონაცემთა დამუშავება უკავშირდებოდეს კონკრეტულ სპორტულ აქტივობას.

რაც შეეხება სპორტული ღონისძიების მონაწილე არასრულწლოვანს, მისი ფოტოების გასაჯაროება მხოლოდ მისი მეურვის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზეა შესაძლებელი. კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტის უფლებები აღემატება დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ლეგიტიმურ ინტერესებს.

რაც შეეხება მაყურებელთა ფოტოსურათების გამოქვეყნებას, აქაც უნდა გავითვალისწინოთ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტითა და GDPR-ის მე-6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი საფუძველი. აქვე მნიშვნელოვანია, დოქტრინაში არსებული სადავო საკითხის გარკვევა, ვრცელდება თუ არა მოცემულ შემთხვევაში „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონთან ერთად. მოცემულ შემთხვევაში, როდესაც ადამიანები თანხმდებიან მასშტაბურ ღონისძიებაზე მონაწილეობას, მათ არ აქვთ აშკარად გაცხადებული თანხმობა ფოტოგრაფირებაზე. ეს, ასევე, შეიძლება ეხებოდეს ბავშვებს, თუკი ისინი ესწრებიან სპორტულ ღონისძიებას. აღნიშნული შემთხვევა უნდა მივიჩნიოთ მაინც თანხმობის არააშკარა ფორმით გაცხადებად, რადგან პირები სპორტულ ღონისძიებაზე დასწრებით კონკლუდენტურად აცხადებენ თანხმობას და მოცემულ სიტუაციაში არსებული ეჭვი უნდა გადაწყდეს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სასარგებლოდ.

აღსანიშნავია, რომ კლუბმა ფოტოსურათების გამოქვეყნების დროს უნდა მიუთითოს სპორტული ღონისძიების შესახებ. ამ შემთხვევაშიც კლუბმა წინასწარ უნდა აცნობოს ფოტოსურათებზე აღბეჭდილ პირებს დაგეგმილი აქტივობის შესახებ და მიაწოდოს ყველა ინფორმაცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის (მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მონაცემთა უშუალოდ მისგან შეგროვების შემთხვევაში) შესაბამისად. კერძოდ, სპორტული ღონისძიებების ფოტოების გამოქვეყნება კლუბის ლეგიტიმური ინტერესია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად. რაც შეეხება ფოტოზე აღბეჭდილი პირების „გონივრულ მოლოდინებს“, მათ ნამდვილად უნდა ჰქონდეთ იმის განცდა, რომ იგი სათანადო წესების დაცვით გამოქვეყნდება შესაბამის ადგილას.

რაც შეეხება მაყურებლების ინფორმირებას, მოცემულ შემთხვევაში, ცალსახად არაპროპორციული ძალისხმევაა საჭირო თითოეული მაყურებლის ინფორმირებისთვის, ამიტომაც როცა საქმე ეხება დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შეუძლია აღნიშნული მიზნებისთვის ბევრად მარტივად

მოახდინოს მათი ინფორმირება და ეს არ გახდება პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. მაგალითად, ეს შეიძლება მოხდეს სტადიონზე შესვლის წინ საინფორმაციო ხასიათის ბანერის გაკვრითაც კი.

საგულისხმოა, რომ საფეხბურთო კლუბს შიდა კლუბური წვეულებებისა და ექსკურსიების ამსახველი ფოტოსურათების გამოქვეყნების უფლება, ძირითადად, არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არსებობდეს მონაცემთა სუბიექტების გონივრული მოლოდინი, რომ შესაძლოა, ფოტოები გასაჯაროვდეს და ამის თაობაზე დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს გარკვეული ინტერესებიც გააჩნდეს, შიდა საქმიანობის ამსახველი ფოტოების გასაჯაროებისთვის აუცილებელია მონაცემთა სუბიექტების თანხმობა. შიდა წვეულებებსა და ექსკურსიებზე შესაძლოა, მონაცემთა სუბიექტი იმყოფებოდეს ისეთ გარემოში, რომ ფოტოების გასაჯაროებამ შელახოს მისი იმიჯი, ამიტომაც სუბიექტის უფლებების დაცულობის მოთხოვნა ფარავს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ინტერესებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანხმობის მოპოვების დროს დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა დაიცვას და პირის ინფორმირება მოახდინოს.

გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ კლუბის ერთ-ერთ წევრს აღარ სურს, რომ მისი ფოტოსურათი კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე იყოს გამოქვეყნებული, მნიშვნელოვანია დადგინდეს საფუძველი, რომლითაც დამუშავდა პირის პერსონალური მონაცემები. თუ გასაჯაროება ეფუძნებოდა პირის თანხმობას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, ფოტოსურათები წაშალოს, რადგან მონაცემთა სუბიექტმა თანხმობის გამოხმობის უფლება გამოიყენა.

თუ მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების დამუშავება ეფუძნება კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტითა და GDPR-ის მე-6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კრიტერიუმს, მაშინ აუცილებელია დადგინდეს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს აქვთ თუ არა კვლავინდებურად ის ლეგიტიმური ინტერესი, რომელიც მაშინ ჰქონდა. შეფასებისას მნიშვნელოვანია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და მონაცემთა სუბიექტების უფლებების შეპირისპირება. თუ სუბიექტის უფლებები გადასწონის დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ინტერესებს, მაშინ ფოტოსურათები უნდა წაიშალოს, სხვა შემთხვევაში კი - არა.

ფოტოგრაფირების აკრძალვა სკოლაში

ზოგადად, ფოტო და ვიდეოგადაღების სრული აკრძალვა არ შეიძლება ეფუძნებოდეს კანონსა და GDPR-ს. თუმცა, ყოველი შეზღუდვის დაწესების დროს დაცული უნდა იყოს პროპორციულობის პრინციპი და არსებობდეს შესაბამისი ლეგიტიმური ინტერესი.

სკოლაში ფოტოგრაფირების აკრძალვის ლეგიტიმური მიზანი შეიძლება იყოს ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვა. თუკი ბავშვების პერსონალური მონაცემები ფოტოსურათის სახით, ხელში ჩაუვარდა არაუფლებამოსილ პირს, შეიძლება, ბავშვის ინტერესს ზიანი მიადგეს. მაგალითად, ბავშვები აღმოჩნდნენ მათთვის არასახარბიელო მდგომარეობაში, რაც მათ სტიგმატიზაციას გამოიწვევს და ამით მათი უფლებები არსებითად შეილახება.

ფოტოგრაფირების სრული აკრძალვა არ წარმოადგენს გონივრულ გამოსავალს. სასკოლო დღესასწაულებთან დაკავშირებით შეიძლება ეცნობოთ მშობლებს, რომ ფოტოსურათების გადაღება წვეულების ერთ კონკრეტულ მონაკვეთზე მოხდება. ვისაც არ სურს, რომ ფოტოზე იყოს აღბეჭდილი, იმ ადგილს მოერიდება. იმ შემთხვევაში, თუკი პირი მაინც აღმოჩნდება მსგავს ადგილას, შეიძლება მოითხოვოს, რომ მისი ფოტოები წაიშალოს. ხოლო, როდესაც სკოლა ფოტოების სოციალურ ქსელში ან ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებას გადაწყვეტს, მან ფოტოზე აღბეჭდილი პირებისგან/კანონიერი წარმომადგენლებისგან თანხმობა უნდა მოიპოვოს.

GDPR-ი ცალსახად არ ადგენს, თუ რომელი ასაკიდან შეუძლიათ ბავშვებს მესამე პირებს განუცხადონ თანხმობა თავიანთი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე, თუმცა კანონის მე-7 მუხლი განსაზღვრავს, რომ არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება მისი თანხმობის საფუძველზე დასაშვებია, თუ მან 16 წლის ასაკს მიაღწია, ხოლო არასრულწლოვანის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. როგორც კანონი, ასევე GDPR-ის ადგენს, რომ მონაცემთა სუბიექტის თანხმობა არის თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატული ნება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს განვითარების იმ დონისათვის მიღწეული, რომ შეეძლოს უხელმძღვანელოს თავის ქმედებას და აცნობიერებდეს პერსონალური მონაცემების დამუშავების სავარაუდო შედეგებს. ხოლო თუ მონაცემთა დამუშავება საფრთხეს უქმნის ან ზიანს აყენებს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს, მიუხედავად თანხმობისა, კანონის მე-7 მუხლი ადგენს,

რომ ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანის, მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე არ ჩაითვლება ნამდვილად.

GDPR-ის მე-8 მუხლის მიხედვით, ელექტრონული მომსახურების პირდაპირ არასრულწლოვნისთვის შეთავაზების შემთხვევაში, მის თანხმობას სამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება, თუ მან 16 წელს მიაღწია, ხოლო თუ მას 16 წელი არ შესრულებია, ამ შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის თანხმობაა საჭირო. ევროპული პრაქტიკიდან გამომდინარე, სასურველია, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა თანხმობა მოიპოვოს როგორც არასრულწლოვნისგან, ასევე, მისი კანონიერი წარმომადგენლისგან, რადგან ძალიან რთულია იმის განსაზღვრა, მიაღწია თუ არა ბავშვმა იმგვარ ინტელექტუალურ სიმწიფეს, როდესაც აღქმადია, აცნობიერებს თუ არა იგი მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შედეგებს.

დასკვნა

XXI საუკუნეში ფოტოგრაფია მეტად აქტუალური საკითხია. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში იგი თვითგამოხატვის ერთ-ერთ საშუალებად იქცა. აღნიშნული პროგრესის გათვალისწინებით, ფოტოგრაფია მნიშვნელოვნად დაუკავშირდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალს. ამ სფეროში არსებული გამოწვევების პირობებში კი, აუცილებელია ფოტოგრაფირების გზით პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავების პრევენცია.

წინამდებარე კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ფოტოგრაფირებისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს უნდა გააჩნდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით დადგენილი კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებზედაც კანონის მოქმედების ფარგლები არ ვრცელდება. სხვა საკითხების მსგავსად, ამ მხრივაც ქართული და ევროპული კანონმდებლობა მსგავს რეგულაციებს შეიცავს და აწესებს საკმაოდ მაღალ სტანდარტს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით.

ფოტოსურათის, როგორც პერსონალური მონაცემის, კანონდარღვევით დამუშავებით, შესაძლოა, პირს განუზომელი ზიანი მიადგეს. იმ შემთხვევაში, თუკი მონაცემთა სუბიექტი ჩათვლის, რომ მისი პერსონალური მონაცემები კანონის დარღვევით დამუშავდა, მან უნდა მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, რომელიც კანონით დადგენილ ვადაში შესაბამის რეაგირებას მოახდენს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის დროული მიმართვა მნიშვნელოვანია!.